

140 /  
1972/2

ქართული  
ბიბლიოთეკა



50

წლის

სამეცნიერო

12  
1972



გარკონული  
გრაფიკული

# ქვეყნის გაზეთი

აქთანდილ გუგუნიძე

მკვლევარი

სსრკ შპს-ის 50 წლისთავს



რევოლუცია  
იმედი ხვალის,  
დაჩაგრულების  
არსობის პური...

ჩუ,—  
ტრიბუნაზე ლენინი არ  
და მიუპყრია  
მსოფლიოს ყური.  
გარინდებული  
გლახაკი უსმენს  
და მზისეული  
იღვრება სიტბო:  
— ამდენი ტანჯვა  
ეყოფა რუსეთს,  
რადგან რუსეთი  
თქვენა ხართ თვითონ.  
ხელს თქვენს ნაოფლარს  
ვერავენ ახლებს,  
თვითონ ნუ მისცემთ  
ამის უფლებას...  
...და ურიგებდა  
ლენინი ხალხებს  
ნუგეშს,  
მიწას და  
თავისუფლებას...



რა გზები განვლეთ,  
გზები რა ძნელი,

ბეწვზე რამდენჯერ ეკიდა ბედი.  
 მაინც მოვედით,  
 მაინც გავძელით,  
 რადგანაც რწმენა მოგვეცა მეტი.  
 რადგანაც რწმენა მოგვეცა მეტი,  
 რწმენა,  
 რომელიც ბელადმა მოგვეცა...  
 და უფრო მეტიც,  
 ის გვედგა გვერდით,—  
 სამშობლოსათვის ვკვდებოდით როცა;  
 და უფრო მეტიც,  
 ის გვედგა გვერდით  
 ჰესის თუ  
 ლექსის შენების დროსაც  
 და ზეიმებზე,  
 როგორც გოლიათს—  
 ეჭირა ჩვენი გაშლილი დროშა;  
 და უფრო მეტიც,  
 ის გვედგა გვერდით,  
 როდესაც კაცი გაფრინდა ცაში,  
 დაბრუნებისას თითქოს ვხედავდით,—  
 თვითონ ბელადმა დაუკრა ტაში.



რწმენის გარეშე არცერთი წამი,  
 არცერთი კაცი რწმენის გარეშე.  
 მხოლოდ და მხოლოდ ნათელი რწმენით  
 ვძლიეთ ათასგვარ ავდარს, ქარიშხალს,  
 მისი სიცხადე,

მისი სიმკვეთრე  
 მეგობრად გვახლავს,—  
 გვათოვს თუ გვაწვიმს;  
 გვაცოცხლებს მარად რწმენა სიკეთის,—  
 რწმენა ყველაზე კაცური კაცის...  
 რწმენა,  
 რომელიც სისხლად გვიღვლავს,  
 რწმენა,  
 რომელიც არჩენს იარას,  
 რწმენა,  
 რომელიც ახლავს სიმღერას,  
 სიტყვას,  
 საქრეთელს,  
 ნამგალს,  
 იარაღს...



დიდებულია—  
 მხარდამხარ მღერის  
 ადამიანი  
 სხვადასხვა ერის.

დიდებულია—  
 მხარდამხარ იღწვის  
 ადამიანი  
 სხვადასხვა მიწის.

და ერთმანეთის გულისფიცარზე  
 ყური სასმენად მიდებულობა:  
 ადამიანი მღერის მიწაზე,—  
 დიდებულია,  
 დიდებულია!..



ამ ქვეყანაზე გზა მრავალი:  
 ზოგი დიდია,  
 ზოგი—პატარა,  
 დღისით სავალი,  
 ღამით სავალი,  
 ზოგან ღმერთია,  
 ზოგან—სატანა...  
 სულ სხვაა ჩვენი—  
 დიდება მოსავს,  
 არც გვინატრია არასდროს სხვა გზა;  
 რწმენა,  
 რომელიც სამშობლომ მოგვეცა  
 საუკუნეებს გაჰყვება საგზოდალ!..



**კანცელა**




• 1972 •

**1972**

საქართველოს ალ. კანცელა  
 მოქალაქის და პ. ი. ლენინის სახელობის  
 სოციალისტური მოსახლეობის  
 კანცელა: ალ. კანცელა, პოეტის  
 სახელობის ე. ბაგრატიონის

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კანცელა  
 გამომცემლობა



3030303030  
საქართველოს სსრ მინისტრთა  
საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილე.



# დღის კურსი

საბჭოთა მრავალეროვანი ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა დიდი ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით, რომელმაც დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, დაიწყო ახალი ერა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ისტორიაში. დიდმა ოქტომბერმა საქართველოს ისტორიაშიც ახალი ფურცელი გადაშალა... 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს აჯანყებულმა მშრომლებმა, საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს მენშევიკების ხელისუფლება და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა. ამ დღიდან საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა. ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დააღწია თავი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის უღელს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას ახმარდა მთელ თავის ძალ-ღონეს.

არ იყო ხალხის პოლიტიკური, სახალხო-სამეურნეო, სულიერი და კულტურული ცხოვრების არც ერთი უბანი, რომელიც არ მოითხოვდა რევოლუციურ გარდაქმნებს, უმაგალითო შემოქმედებითს შრომას. და აი, სწორედ აქ სასიცოცხლოდ საჭირო გახდა „რკინისებური ძმობა წითელ მოსკოვთან“, როგორც ეს ჯერ კიდევ 1921 წლის მაისში მოსწრებულად თქვა ნიჭიერმა პოეტმა პაოლო იაშვილმა. ქართველმა ხალხმა და საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც დასძლიეს ნაცინალ-უკლონისტთა წინააღმდეგობა, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდან თვენახევრის შემდეგ ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ წერილში „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის, მთის რესპუბლიკების ამხანაგ-კომუნისტებს“

მოგვცა მთელი რიგი ფრიადმნიშვნელოვანი პოლიტიკური მითითებანი და დავისახა სოციალისტური მშენებლობის, რესპუბლიკის საწარმოო ძალთა მძლავრი აღმავლობის მცენიერულად დასაბუთებული პროგრამა და ხალხი ძალღონის დაუზოგავად შეუდგა ამ დიადი ლენინური პროგრამის განხორციელებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი განსახიერებაა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. წინათ, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, საქართველო უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გადაიქცა მსხვილ ინდუსტრიულ, მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებას მძლავრად განხორციელების შედეგად, მოძმე საბჭოთა ხალხების ძმური თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით





რებით, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხისა, საქართველო საბჭოთა კავშირის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს კვებება შესანიშნავი მიღწევებით ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში.

რესპუბლიკის რუკაზე განდენ ახალი ქალაქები და რაიონები, რკინიგზის ხაზები და ავტომაგისტრალები; საქართველო გადაიქცა მოწინავე მრეწველობის მხარედ. მის ტერიტორიაზე განლაგებულია საბჭოთა კავშირში მსხვილი სამრეწველო კომპლექსები, აგებულია ათასობით დიდი სამრეწველო საწარმო, მათ შორის მთელ ქვეყანაში ცნობილი ამიერკავკასიის შავი მეტალურგიისა და ავტომობილმშენებლობის პირმშონი — რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები.

შეიქმნა ინდუსტრიის ახალი დარგები; მწყობრში ჩადგა ქიმიური, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის ასობით მძლავრი საწარმო. მათი პროდუქცია — დაზგები, სინთეზური ბოჭკო, ხელსაწყოები, ელექტრომაგვლები, ფოლადის მილები, წყალქვეშაფრთიანი კატერები, მსუბუქი და კვების მრეწველობის ფართო ასორტიმენტის ნაწარმი — გარგად არის ცნობილი ყველა მოძმე რესპუბლიკაში და ჩვენს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. ამჟამად რესპუბლიკაში აწარმოებენ მილიარდ კილოვატსათზე მეტ ენერჯიას, რაც 453-ჯერ სჭარბობს 1913 წლის დონეს. რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ტემპებისა და მასშტაბების წარმოსადგენად საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 104-ჯერ გაიზარდა 1921 წელთან შედარებით.

ამჟამად მთელი საქართველო ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია. მდინარე ენგურზე შენდება ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, მდინარე არაგვზე კი — ჟინ-

ვალქესი. იქმნება მადნეულის ახალი სამთომეტალურგიული ცენტრი, ფართოდება ჭიათურის მარგანეცის მოპოვება.

რესპუბლიკის ყველაზე დიდი მონაპოვარი და ეკონომიკის ზრდის საფუძველია ეროვნული მაღალკვალიფიციური მუშათა კადრების, გამოცდილ სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკური ინტელექტუალის დიდი არმიის შექმნა. ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომობს 1,5 მილიონი მუშა-მოსამსახურე.

დიდი გარდაქმნები მოხდა სოფლის მეურნეობაში. დაძლეულია საუკუნოვანი ჩამორჩენილობა, შექმნილია მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული მაღალგანვითარებული, მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ქართული მიწა დაიფარა ჩაის პლანტაციებით, ზერებით, ციტრუსოვანთა ნარგავებით, აყვავებული ბაღებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა მეჩაიეობა. რესპუბლიკაში შემუშავებულია ჩაის ნარგავთა მოვლა-პატრონობის ყველაზე სრულყოფილი აგროტექნიკური მეთოდები. საქართველოს მეცნიერებმა გამოიყვანეს მსოფლიოში საუკეთესო ჩაის სელექციური ჯიშები; მსოფლიოში პირველად ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა ჩაის საკრეფი მანქანები, მათ ავტორებს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო — ლენინური პრემია. ამჟამად საქართველოზე მოდის საბჭოთა კავშირში წარმოებული ხარისხოვანი ჩაის ფოთლის 95 პროცენტი.


საქართველო ციტრუსების ნაყოფის — მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ძირითადი მწარმოებელია. რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს სამრეწველო ჯიშების ყურძნის, ხილის, აბრეშუმის პარკის, მაღალხარისხოვანი თამბაქოს, ეაიერ-ზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურების მოყვანაში.

ამჟამად რესპუბლიკაში მევენახეობის წილად მოდის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის 20 პროცენტზე მეტი, ქართველ მეღვინეთა შედევრები ფართოდ არის ცნობილი მსოფ-

ლიოში. საერთაშორისო დათვალიერებათა ლაურეატების — ლენინური პრემიის აკების ჯილდოთა კოლექციაში არის 100-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. საქართველო მზარდი რაოდენობით ეწევა სამარკო ლენინის, კონიაკის, შამპანურისა და მევენახე-მეღვინეთა გამოცდილების ექსპორტს. რესპუბლიკაში მოწყობილია პირველად მსოფლიოში, ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი სექსუვის საწინააღმდეგო სამსახური. ამას წინათ ჩვენი სპეციალისტების დახმარებით ასეთი სამსახური შეიქმნა ბულგარეთშიც.

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიურ განვითარებაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენში წინათ შემოქმენდათ თითქმის ყველაფერი, ნემსის ჩათვლით. დღეს კი საქართველოს მსოფლიოს 100 ქვეყანაში საექსპორტოდ გააქვს თავისი სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ხოლო 36 ქვეყანაში — თავის სპეციალისტთა ცოდნა და გამოცდილება; რესპუბლიკის წარგზავნილები ეგვიპტეს დაეხმარნენ ასუანის კაშხალის, ხოლო ინდოეთს — ფხილასი მეტალურგიული ქარხნის აგებაში, ავღანისტანს — ავტომაგისტრალების, ვიეტნამს — ჩაის ფაბრიკების, იემენს — საზღვაო ნახსადგურის მშენებლობაში, კუბას — საჩვენებელ მეურნეობათა მოწყობაში, ეგვიპტეს — კონსერვატორიის დაარსებაში; ქართველი სპეციალისტები გეოლოგიურ გამოკვლევებს ეწეოდნენ ალჟირში, სადაც ამჟამად მუშაობენ, უწევენ რა მეცნიერულ-ტექნიკურ დახმარებას, უზიარებენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციის გამოცდილებას.

50 წლის წინათ საქართველოს მოსახლეობის 76 პროცენტი უწიგნური იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში განხორციელდა კულტურული რევოლუცია. ამჟამად სწავლობს მილიონნახევარზე მეტი ადამიანი — ესე იგი საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთმესამედი. რესპუბლიკაში გატარებულია რვაწლიანი სავალდებულო განათლება და წარმატებით ხორციელ-





დება საყოველთაო საშუალო განათლებას. სკოლებში ასწავლიან 7 სხვადასხვა ენაზე — ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ და ქურთულ ენებზე. უმაღლესი განათლების დონით საქართველოს ჩვენს ქვეყანაში წამყვანი ადგილი უჭირავს. რესპუბლიკაში 18 უმაღლესი სასწავლებელია, 100 საშუალო სპეციალური განათლების სასწავლებელი, 4500 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, მეცნიერებათა აკადემია, 200-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, რომლებიც კვლევით მუშაობას ეწევიან თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითად მიმართულებათა მიხედვით. საერთაშორისო აღიარება ჰპოვეს მათემატიკის, ფიზიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულმა მეცნიერულმა სკოლებმა.

ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ითვლება წიგნის გამოცემისა და პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის განვითარება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში 3 ასული წლის მანძილზე გამოცემული იყო 6 ათასი წიგნი 1 მილიონი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. დღეს, მარტო 1971 წლის განმავლობაში საქართველოში დაიბეჭდა 2400-მდე სახელწოდების წიგნი 15 მილიონამდე ტირაჟით. გამოდის 120 სახელწოდების ჟურნალი და სხვა პერიოდული გამოცემა, 130 სახელწოდების გაზეთი. ყოველ 100 სულზე მოდის 350 წიგნი და 40 პერიოდული გამოცემა. საქართველოში წიგნები, გაზეთები და ჟურნალები ისტამბება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, აგრეთვე მთელ რიგ უცხო ენებზე. რესპუბლიკის მოსახლეობას ემსახურება 3 ათასზე მეტი ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნადი ფონდი 20 მილიონ ეგზემპლარს აღემატება, 2 ათასზე მეტი კლუბი და კულტურის სახლი, 74 მუზეუმი, 22 პროფესიული თეატრი, 1800-ზე მეტი კინოდანადგარი.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებები

ითარგმნა და გამოიცა მრავალ ენაზე — სოციალისტურ ქვეყნებსა და დასავლეთში. ქართველ მხატვართა ნამუშევრები გატანილია საერთაშორისო გამოფენებზე ნიუ-იორკში, ლონდონში, ვენეციაში, დრეზდენში, ბრიუსელში, მონრეალში. ქართული თეატრები დიდი წარმატებით გამოდიან ევროპის სცენებზე. ქართული არქიტექტურის გამოცდილებითა და მიღწევებით დანტერესებული არიან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ქართველ კინემატოგრაფისტთა ფილმები აღინიშნა ისეთ ავტორიტეტულ დათვალიერებათა პრისებში, როგორცაა მსკოვის, კანის, ვენეციის, ედინბურგის, ობერპაუზენის, კრაკოვის ფესტივალები. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს ასრულებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, გერმანიის დემოკრატიულ და ფედერაციულ რესპუბლიკებში, პოლონეთში, უნგრეთში... ახალგაზრდა ქართველი პიანისტები, მევიოლინები, მონღერლები საპროზო ადგილებს იკავებენ საერთაშორისო კონკურსებზე; მრავალი ქართველი სპორტსმენი მსოფლიოს რეკორდსმენია.


საბჭოთა ხელისუფლების წლებში ძირეულად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება — ახლა ყოველ ათას კაცზე საქართველოში მოდის 37,1 ექიმი. საქართველო სამართლიანად არის სახელგანთქმული თავისი ჯანმრთელობის კერებით: აქ არის ასობით მაღალმთიანი, მთიანი და ზღვისპირა კლიმატური სადგურები და თითქმის ყველა არსებული კლასისა და ჯგუფის 1400-ზე მეტი სამკურნალო მინერალური წყარო, რაც კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დიდი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შექმნის საშუალებას იძლევა.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მეხუთედმა ნაწილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო დიდ სამამულო ომში, ხოლო აქედან მესამედზე მეტი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მეოთხედმა მილიონმა ქართველმა ვაჟიშვილმა და ქალიშვილმა მიიღო საბრძოლო ორდენები, მათგან 136-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. რაიხ-

სტაგზე ეგოროვისა და ქანთარაძის მშენებელი საბჭოთა დროშა-სამარტო არა მარტო ფაშისტურ მხეცზე გამარჯვების სიმბოლოა, არამედ საბჭოთა ხალხების დიდი მეგობრობის გამოხატულებაც არის. სწორედ ასევე, რუს პოლეთავისა და ქართველ მოსულიშვილისათვის უმაღლესი სამხედრო ჯილდოს მინიჭება და იტალიის ეროვნულ გმირებად გამოცხადება საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის აღიარებაა.

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა. აქ ქართველებთან ერთად შეხმატებულეზულად ცხოვრობენ და შრომობენ ბევრი ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ხალხთა უანგარო მხარდაჭერის, ჭეშმარიტი ინტერნაციონალური სულისკვეთების გამოვლინებაა ქ. რუსთავის, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა მრავალი საწარმოს მშენებლობა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსებმა, უკრაინელებმა, აზერბაიჯანელებმა, სომხებმა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. სულ უფრო მტკიცდება საქართველოს მშრომელთა მეგობრული ურთიერთობა მოძვე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან. საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ტრადიციული გახდა სოციალისტური შეჯარებები, რაც ხელს უწყობს ახალ შრომით წარმატებებს, განამტკიცებს ხალხთა მეგობრობასა და ძმობას.

რესპუბლიკის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად წარმატებით სრულდება სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმა. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ჭეშმარიტად დიდმა ზეიმმა, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნებათა თავისუფლებისა და აღორძინების დღესასწაულმა, კვლავ და კვლავ განსაკუთრებული სიძლიერით გვაგრძობინა მეგობრული მხარდაჭერისა და ძმობის ძალა, ხალხთა ერთიანობის დიდი გრძნობა — ოქტომბრის ეს ყველაზე შესანიშნავი მონაპოვარი.



**მ**კტომბრის ქუჩაზეა ეს სკოლა, იმ მიდამოების მახლობლად, სადაც თბილისის რკინიგზის სადგურია. საკლასო ოთახების მალაღობა ფანჯრები პირდაპირ გადაჰყურებს ქალაქში შემოსულ ლიანდაგებსა და ნაირფერ ვაგონებს. უფრო შორს კი ჩანს იისფერ ნისლეში გახვეული ქალაქი და მზით ავსებული სივრცე.

არის თითქოს რაღაც ნიშნული იმაში, რომ სკოლა მკტომბრის ქუჩაზეა, რომ ლიანდაგებს გადაჰყურებს, რომ მის წინ არავითარი შენობა არ დგას და თავისუფალი გასახედია შორეთში. აქაური ყმაწვილები ხომ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავალი თაობაა, რომელსაც ძალა შესწევს სიმღლეებს შეეჭიდოს, ისწავლოს და იღვწოდეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მაგრამ ეს გზები და ლიანდაგები ახალგაზრდებს სთავაზობს არა მხოლოდ ნაირ შესაძლებლობებს მათი მომავალი ცხოვრებისათვის, არამედ საინტერესო დღევანდელ დღესაც. ამათ ასტუმრებს ამ ორიოდე წლის წინ სომეხი მეგობრები, ხოლო წელს — სვერდლოვსკელი თანატოლები. ამ გზებისა და ლიანდაგების საშუალებით მოსულა სკოლაში უამრავი წერილი სიყვარულისა და მოკითხვისა, რომელთაც ხშირად მორიდებული თხოვნა ჰხვდება: გამოგვიგზავნეთ, თუ ძნელი არ იქნება, თქვენი ქალაქის ხედები, ან ალბომი საქართველოზე, ან თქვენი პიონერული ეურნალ-გაზეთების რამდენიმე ნომერი, მოგვწერეთ თქვე-



# მეგობრობის

# სნივეტი

თეატრ სხვადასხვა

ფოტო ალ. კაპანაძის

ნი რაზმის, რაზმეულის საქმეებზე და სხვა. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის ემზადებოდა, გაიზარდა მოთხოვნილება ქართულ მაგალიტებზე. ზოგი საქართველოს სსრეს პრესბუროს დროშას ითხოვდა, ზოგი ანბანს, ზოგი ქართული ტან-

საცმლის მოდელს, ზოგი ცეკვების მონახაზებს, ზოგი სიმღერებს, ქართველ პოეტთა წიგნებს, ქართული ქედურობის ნიმუშებს.

— ამხანაგო პიონერებო, — სწერდა ვოლოდარსკის მე-4 სკოლის მე-5 მეოთხე კლასი აქაურ მე-5 მეოთხე კლასს, — გულმოდგინედ ვემზადებით ჩავატაროთ საბჭოთა

შინა უმთირიშვილმა, მარინა საკაჩიშვილმა, ლილა კახაძემ და შინა ვაკსინაშვილმა თავიანთი რაზმის ალბომი შეადგინეს და მუშაინებად გააფორმეს. შეათარგმნეს დიდი სინარული მოუტანა ხრატხაელი მებოზრამის ბაათიშხა.

კავშირის ხალხთა მეგობრობის ფესტივალი, სადაც ჩვენ წარმოვადგინთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკას. გთხოვთ მოგვწეროთ თქვენი ეროვნული საქმელების დამზადების წესები, გამოგვიგზავნოთ სიმღერების ნოტები, გაგვაცნოთ თქვენი ხალხური თამაშობები, ცეკვები, საცეკვაო ტანსაც-



მანკაელთა  
მოწონებას  
იმსახურებს  
ზია  
სოკარაშვილის  
მიერ  
კახაი  
შისწავლის  
ნაშთებზე.

მელი. თუ ძალიან ძნელი არ იქნება, გამოგვიგზავნეთ რაიმე სუვენირი. აგვიწერეთ, როგორია თქვენი სასკოლო ფორმა. ჩვენი რაზმი მარჯვენაფლანგელია...

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნაზი კერვალიშვილმა ლელა მონახა და წერილი გადასცა. ლელა რაზმის საბჭოს თავმჯდომარეა, თანაც მარჯვენაფლანგელი რაზმისა. წერილის წაკითხვისთანავე რგოლის წევრებს მოუყარა თავი.

ზაზა მეტრეველმა თქვა: საკმაოდ ბევრი რამაა შესაგროვებელი და, მოდი, რაზმს ვკითხოთო. წერილი საჩაროდ წაიკითხეს, დავალებები გაინაწილეს.

მერე იასე ზალდასტანიშვილმა, რომელიც ძალიან კარგად ცეკვავს, „ქართულის“ ჩანახატები გაამზადა, მარინე ხარაზიშვილმა, რომელმაც ისე წარმტაცი კითხვა იცის, რომ სასკოლო მხატვრულ ფილმშიც კი გადაიღეს, ქართული საბავშვო ლექსების წიგნი შეარჩია, ზოლო მასწავლებელმა ბჭკარედი გააკეთა. ერთმა სიმღერები გადაწერა ნოტებზე, მეორემ კიდევ ქალაქის ხედები მოიტანა. ერთი სიტყვით, მეგობრებს ყველა სათხოვარი აუსრულეს და კარგა მოზრდილი ამანათიც გაუყენეს ყაზახეთის გზას, ვოლოდარ-

სკისაკენ.

მალე მოვიდა მადლობის წერილი, რომელსაც ამანათი მოჰყვა.

ასე გაჩნდა რაზმში ყაზახური სუვენირები: ალბომი ვოლოდარსკის ხედებით, ვოლოდარსკელი პიონერების ფოტოსურათები.

სწორედ რომ სულზე მოუსწროთ ამ საჩუქარმა. რაზმულში კონკურსი იყო გამოცხადებული, ყველა რაზმში ცდილობდა საბჭოთა კავშირის ქალაქების რაც შეიძლება მეტი და ლამაზი ხედები შეეგროვებინა. ყაზახეთისა იმჯერად არავის არაფერი გააჩნდა და ლელას რაზმი, ყველაფერში მოწინავე, აქაც დაწინაურებული გამოდიოდა.

მაგრამ მეხუთეკლასელების სიხარული მალე დაჩრდილა ერთმა წერილმა, რომელიც ბრატსკიდან მოუვიდა მე-9 მეორე კლასს. ბრატსკიდან — ელექტროსადგურით და მშრომელი ახალგაზრდობით განთქმულ ამ ქალაქიდან — ბარათი ჯერ არავის მოსვლოდა. იწერებოდნენ მე-10 სკოლა-ინტერნატის მეექვსეკლასელი პიონერები. ისინი საინტერესოდ მოუთხრობდნენ თავიანთი ახალგაზრდა ქალაქის შესახებ და თანატოლებს ეკითხებოდნენ — არის თუ არა საქართველოში ისეთივე ახალგაზრდა ქალაქი, როგორიც

ბრატსკია და, თუ არის, დაწვრილებით გვაცნობეთ მის შესახებო. რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გია ბერი-აშვილი ნაზი ხელმძღვანელს მოეთათბირა. გადაწყდა, რომ ქალაქ რუსთავეზე შეკრებდნენ მასალებს. ბრატსკელებს მალე გაუგზავნეს ალბომი, წიგნი, გაზეთების ამონაჭრები, მაგრამ მაკეირიც ინდომეს: ბრატსკის ელექტროსადგურის მინიატურული მაკეტი, რაზეც თანხმობა კი მიიღეს, მაგრამ თავად მაკეტი იგვიანებდა. მეექვსე მეორე კლასი იმედოვნებდა, რომ როგორც კი მაკეტი მოვიდოდა და მას პიონერთა ოთახში გამოფენდნენ, მთელი რაზმეული თვალებს დააჭყეტდა: ბიჭო, შეხედეთ რა კაი რაღაცააო!

მაკეტის მოლოდინში მეექვსე მეორე კლასი ჯართს აგროვებდა, ოროსნებს ასწორებდა. მართალია, წელს არ გაუმართლდათ, მაგრამ შარშან მათი იყო გარდამავალი თასი, დაწესებული საუკეთესო სწავლისა და ყოფაქცევისათვის. რას იზამ, ყოველთვის ვერ იქნები თასის მფლობელი მთავარია, ჩამორჩენილი არ გყავდეს, ამასთანავე თავი გამოიჩინო მარშის სხვა დავალებათა შესრულებაში.

მეხუთე მეოთხე კლასი, რომელიც წელს საუკეთესო სწავლისა და ყოფაქცევის კლასად აღიარეს, თავის მხრივ, ცდილობდა, სხვებზე უკეთ ეკლო დაწესებული მარშრუტებით. ისინი უკვე იმით იყვნენ წინ, რომ ოროსნები არა ჰყავდათ: 22 პიონერში ორი ხუთოსანი და 11 ოთხოსანი იყო. ცხრა სამოსნის წინ წაწევა არც თუ ისე ძნელი საქმე იყო. მაია მათირიშვილმა გამოაცხადა — ჩემს რგოლში სამოსანი არ იქნებაო და, მართლაც, კარგად წაიყვანა საქმე. მას მარინე ხარაზიშვილმა და მზია ვარსიამაშვილმაც აუბეს მხარი. ასე რომ, იმ სასკოლო სტენზე, სადაც სრულად ჩანს ყველა კლასის ყოველკვირეული ცხოვრება, მეხუთე მეოთხეკლასელები ყველაზე მეტად დაწინაურდნენ.

მაგრამ მაშინ შუა ნოემბერი იდგა და დასანანი ის იყო მხოლოდ, რომ საიუბილეოდ მეოთხედური შეფასებები ვერ მოესწრებოდა. შესაძლებელი იყო რაზმის მუშაობის ეს მხარე მხედველობის გარეშე დარჩენილიყო, და ეს მათ დააკარგვინებდა ყველაზე მომგებიან ქულას.

ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს, რაზმს სხვა დავალებებისათვისაც მიექცია ყურადღება.

და აი, საბჭოს მეშვეობით რაზმეულს საჩაროდ გამოაქვს. გია სოკუ-რაშვილის მხატვრული ნამუშევარი-

ბი. ვია კარგად და აზრიანად ხატავს. იტაცებს ნატურმორტები და პეიზაჟები. განსაკუთრებით წარმატაურობს გამოუვიდა გაპრილებული შავი გრანიტის ფილაზე ამოკარული გოგონას პორტრეტი.

თუმცა ეს მაინც არ იყო ის, რაც მათს რაზმს მარშის მოთხოვნილებათა შესრულების თვალსაზრისით წონას შემატებდა.

მაგრამ კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორმა, მასწავლებელმა — ნანა ბაკურაძემ, რომელმაც კარგად იცოდა ყმაწვილების მისწრაფებანი, რაზმსა და გამოფენის ავტორს

დროს ეს გულმხურვალემა ცოტა შენელებულიყო. ახლა ქართველი მეგობრები ესწრაფვოდნენ კვლავ აღედგინათ გულითადობისა და ურთიერთაბიჯის ცემის მშვენიერი დღეები. მით უფრო, რომ განზრახული ჰქონდათ გაემართათ ამიერკავკასიის ერთა მეგობრობის ფესტივალი.

რაზან ლელას რაზმის წვლილი რაზმეულის საერთო ძღვენში ჩაერთო, მან სრულიად სხვა დანიშნულება მიიღო: ვიას ნამუშევრები გამოფენის ექსპონატებიდან ერთა მეგობრობის გამოხატვის საბუთად იქცა.

თქვა: საკვირველი მასალები ნინო თევდორაძემ, თქვენი რიგორილაო?

ლელას ამ მხრივ ბევრი არა ჰქონდა რა დასაკვირვებელი და გაჩუმება არჩია. შესვენებაზე კი თავისი რაზმელები შეაგულონა, ისინიც აპყვენენ.

ასე დღითიღღ, საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის მოახლოებასთან ერთად, ახალ-ახალი საჩუქრებით თუ სამახსოვროებით მდიდრდებოდა მარშრუტი „სსრ კავშირი ჩემი სამშობლო“.

ფოსტას ზედიზედ მოაქვს წერილები და ამანათები, ერთის მხრივ რაზმეულში: კიევის, ლენინგრადის, ერევნის, ბაქოს სკოლებიდან, მეორე მხრივ, ცალკეულ რაზმებში: მე-5 მეორე კლასს — ლიპეციკიდან, მე-5 პირველს — მოგილევისკის ოლქიდან, მე-7 მეორეს — კიევის ოლქიდან, მე-6 პირველს — მელიტოპოლიდან, მე-6 მეორეს — ყირგიზეთიდან, მე-3 კლასის ოქტომბრელებს — ქალაქ სოლიკამსკიდან, მე-8 პირველს — სუმსკის ოლქიდან, მე-8 მეორეს — მაგადანიდან...

რაზმები უპასუხებენ წერილებით, ამანათებით, საქმეებით.

თანდათან სრულყოფილი ხდება საიუბილეო მზადება, თანდათან მრავლდება ძღვენი და ნობათი.

რაზმეულმა ძმათა სასაფლაოზე შეკრება გამართა სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.

ჩატარა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კვირეული და უმასპინძლა ერევნის და ბაქოს მეოთხე სკოლების პიონერებს, აგრეთვე თბილისის სომხურსა და აზერბაიჯანულ სკოლებს.

პიონერთა ოთახში დაგროვდა ურიცხვი მასალა მომე რესპუბლიკების ცხოვრების შესახებ.

ცალკე დგას მაგიდა მეგობრების სუვენირებით დამშვენებული.

სკოლა ირთვება და მშვენიერდებიან ლოზუნგებით, დროშებით, ყვავილებით, აფერადდა დერეფნები, კიბეები... ეზო, ქუჩის გადასახედი — ყველაფერი საზეიმოდ გამოიყურება.

ოქტომბრის ქუჩა უფრო გასხივოსნებული ხდება სკოლის ეზოდან მომდინარე სინათლესა და მხიარულებას.

ქუჩის გადაღმა რკინიგზის ლიანდაგები დეკემბრის სხივით გაბწყინებულია, სადღაც დინჯად მიცურავს ელმავალი, მთაწმინდას უახლოვდება ჩამავალი მზის ფრთა.

ხვალ ზეიმი!



იანა  
ხალდასანნიშვილი  
მე-4  
სკოლაში  
ერთ-ერთი  
ცნობილი  
მოხალაქა  
ბახლავთ.

ურჩია რაზმეულის სახელით სხვა საჩუქრებთან ერთად რამდენიმე ნამუშევარი. საერთო ამანათში ჩაედოთ ბაქოსა და ერევნის მე-4 სკოლებისათვის გასაგზავნად. ერევნელები მათი ძველი მეგობრები იყვნენ და მისვლა-მოსვლაც კი ჰქონდათ ერთმანეთში. მაგრამ ბოლო

მეექვსე მეორე კლასში გატაცებით აგროვებდნენ საბჭოთა კავშირის ქალაქების ხედების ფოტოებს, ისე, რომ ეს საქმე ლამის ყველაზე უკეთ გამოუვიდათ. მაშინ რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევანმა მეხუთეკლასელების წაქეზების მიზნით ლელას თანდასწრებით

## უკრაინაში

ჩვენი ქვეყნები...

მათ თავზე ზავითი  
რამდენ ქარიზმას გადაუღალია  
პარტი ეს აწეოდა კი არა, მათი  
თვითონ წარსულს სანერვლია.

ოყო ორბევ მტრისგან ნაფქარი,  
ცად აღიოდა ხანძის აღმუღი...  
და ახლა, როცა კანეს ვაფქავით  
ჩემს თვალწინ მაგად დგას წიფაქერი.

მაგრამ არ გვიდა!

გუშინდელს ვარდა  
არ მისტრის სინათლეს ჩვეილი.  
ჩვენ მღვდართი მზის და სინათლის კართან,  
შეჭმოდვინილი სამშობლოსი დილით.

ვიყოთ მართალინი ამ მზის წინაშე,  
გახებუე, ბრწყინავს, სდაუ მხელოდა...  
ხედავუ მისულან უკრაინაში  
კოლმერტინენი საქართველოდან.

კანსმის! დააცვება გაჩმომს დიღობი,  
დღერთან დღებს ჭეგანან თელტანად,  
მოსულან, ჭეგბის გამოცდილებს  
საქართველოში გადასატანად.

და ჩვენც, დღევანდელ დღეს ვუმღეროთ უღეს,  
ვიმღეროთ მაგებბი თანხმოვანებით,  
ერთმეორის ზიარბი გჭკონდეს  
წუთები წუთს და აღერთოვანების.

ვიჭკობით თორბე დრო ვაგვეტროლებს,  
ჩჭკობენ ჩვენი კოლმერტინენი...  
თან ვაგატანით ჭათულ სტრატორენებს  
უკრაინელი ზონბლის სურბელი.

ჩვენი ქვეყნები...

მათ თავზე ზავითი  
რამდენ ქარიზმას გადაუღალია...  
ეს აწეოდა მათი, ეს მბრმა მათი  
ჩა საყარბი სანერვლია!

*ივანე მაჭავაძე*

# ქართველი ჭოვანტახბი საუბოჯლოს

## გაქოზი, სენარაქ

ამ კარვ ღამეში  
მელი რაა, კაცს არც კი ჩაგოვლემს,  
სოცინათელებს  
ვაფქავით ვასაინი მხარე,  
ამ კარვ ღამეში  
თმენ შემოგმვლით პატარა ქართვლეს  
და სანბრულს  
კარსკლავები გადმოშავებოთ.  
მე უქვეყნებოთ  
შეობები ვისბინე თვეინთან  
და ვაქაუტისი  
რაბე მეოთვება ველარ შვედელი,  
მოდ და ქვეყნად  
საე ტანბოლად ვიღეროთ ერთად  
და ვეგობრობა  
გვეწონდეს დღევანდელი!

*ჩემი მუჭოთი*

## საუბოჯლო

ჩემს სათაუვენი მხარეში  
სულ განბიადი მვირბია,  
ჩვენებბი დიადი სამშობლო  
ჩერი არსად არვის ჭქონია.

ერყელა ჩვენი ქვეყანა —  
დიდი საბჭოთა კავშირი,  
მაე ზედიღან ყინულულომდ  
გადაჭმეული განმლოლი.

გამარჯვეული სიმართლე,  
დამარჯვეული ბნელითი;  
კის უნაბირო ღამილი  
მტორონი ცა და მხელთი.

დიდ ხალხთა მბომბს ზეიმი,  
მტრობა და შური წამლოლი...  
ერყელა ჩვენი ქვეყანა  
ერთა ურღვევი კავშირი.

სოე ყინულთის ტრამაზზე,  
ცხელი სამხრეთის მღეროთი,  
მომე ერებბს ველებზე,  
ჩვენ მბომბელ საქართველოში

სულ განბიადი ანათებს,  
სულ გაზაფხული მვირბია...  
ჩვენებბი დიადი სამშობლო  
ჩერი ქვეყნად არვის ჭქონია.

*ი. რ. მაჭავაძე*

## ჩვენი მეგობრები

ქე, გადახედით ჩვენს ქვეყანას  
რა მდიდარია,  
ჩვენი კავშირი განა სხეებითა  
შესადარაო!



ეროვნული  
ხიზლომოთხე

## თბილისი, გაქო და ჩაქვანი

თბილისი, ბაქო და ერევანი —  
ჩა კარგი თქმბა, რა დიდგულთი,  
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი  
ერთი მარამბია დაყიდებული.

ვერ კიდევ ძველად საქართველოში,  
როცა მფეოლდა ისარ-მწვიღობა,  
რადი ვისტეოდ მყურლოდ ჩერბოში,  
ეობრობით, ვამედილი: „გვიდა მწვიღობა“

სათინოე, აშულთა მამა,  
ჩანეს რომ უკრავდა მხენი, არხენიდა,  
ისიც კი შტრისკენ გაურა საშად,  
სიმღერით ქვედი მიხატევიანა.

ჩვენ ალღ ველებს, ჩვენს მაგარ ძარღვებს  
საუფეღელ მბომბს სიმართლო უქვის,  
არ ღიორღვევა არ დაბრღვევა  
პარტიის სიმბონის ნაწევი ღუქე.

თბილისი, ბაქო და ერევანი —  
ჩა კარგი თქმბა, რა დიდგულთი  
ეს ერთი ვაზის სამი მტევანი  
ერთი მარამბია დაყიდებული.

*ი. რ. მაჭავაძე*

## დაქალი საქართველოსი

დიად საბჭოთა კავშირის  
მძღმეოციელო ეტეობი,  
სამშობლოს საუელ-დიღობით  
ისარბო, ბედინტეობი!

თხოვამეტი მბა ვართი ნაღვლენი,  
ვეწმას მეგობრობა ნამდვილი,  
ჩვენ ერთი დროშა ვეკორობებს,  
სამშობლოს წინდა მასილი.

*ა. პეტრიაშვილი*

# მეგობრობას უშენებია

რუსთავი — პატარა საბჭოთა ქვეყანა ამ ქალაქში 108 თას მცხოვრებთა შორის 40 ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ქალაქი 24 წლისაა. მას მიეღო საბჭოთა ქვეყანა აშენებდა ქართული ახალგაზრდები მეტალურგთა და ქიმიკოსთა სპეციალისტების და უკრაინელ მეგობრებთან ერთად. მრავალი მათგანი ჩამოვიდა რუსთავში, დაუახლოვდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. თავის მხრივ, ქართველები ცდილობს და გამოცდილებას უზიარებდნენ აზერბაიჯანელ კოლეგებს. შენობებიცაა არ



არის, რომ საქართველოს ახალ ინდუსტრიულ ცენტრში არის ქუჩა, რომელიც დონეცკელი მეტალურგების, ჩეხი ქიმიკოსების, ზაპორიჯელი მშენებლების სახელს ატარებს. სოლი ცენტრალურ პროსპექტს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის პროსპექტი ექვია.

ქალაქის მრავალრიცხოვანი კულტურული ცხოვრებაში მკაცვებს გამოხატულებას. რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კულტურის სახლებში ქართული დრამატურების პიესებთან ერთად იდგმება მ. გორკის, ნ. პოგოდინის, ა. კონინიუჩის.

შორგანაჟდს პიესები. კლუბებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ბერძნული თეოთომედიანი ანაშხლები. ტრადიციულ იქცა ოთხი მთხმე რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების — რუსთავის, კარაჯაინის, ჩეჩაკისა და სუმგაითის მშრომელთა შენობები.

მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად ფუადის დროსაში ერთმანეთს ეტაბრებოდნენ მკაცრად, სუბკაოილად, ელნოვადი, მაგნიტოგისკეული, რუსთაველი მეტალურგები.



## 2. პირობები

წარუხადი მოთხოვრებაა  
„ლენინის ცხოვრება“.

ვლადიმერ ილიას ძე აუღ გზადა, თანაც მძიმედ — მარჯვენა ხელს ვეღარ მშრობდა. ეს დახმავა იყო.

ზოგადად არაა, ავადმყოფობა მოულოდნელად წამოვიდა ილიას, ამა სწულდება კარგა ხანია ვერაგუად ეტარებოდა. ამა უძლიერავე დეირთი. ზოგჯერ იხე ვედიოდა ზაფხირის უსაჩუქრად დაჰ, წუთითაც ვერ მოატყურებდა თვალს. თითქმის გამუდმებით სტეკოდა თვალი, დაქარა აბედლობით საათში და ვლადიმერ ილიას ძე დღეობდა ჩავარდა.

ქრემლში, თავის პატარა ოთახში იწვა. — ძალიან ბედის მუშაობით, ვლადიმერ ილია, — უნებრეს ეტყობა. — თვეებობას აუცილებელია სრული სიმშვიდე.

მეგრამ ვლადიმერ ილიას ძეს არ შეეძლო არ ემუშავა. დაიბ, არ შეეძლო უნდა ეტყარა, უნდა მოესწრო ახსნაებისთვის რჩევა-დარიგების მიცემა.




ვლადიმერ ილიას ძეს მარჯვენა უმრავად ეღო სახანაჟე, გავარჯერებულ შუბლს ცივი კომპრესი უტარებდნენ. სადამო იყო, მაგიდაზე პაწაწინა ღამის ღამა ბუტავდა. ეტაბრებს რჩეული, ვლადიმერ ილიას ძეს ნახა-დოღებს უნდა დეირთი. მეგრამ მას არ ეტინა.


გუშინ მოსკოვში საბჭოების სრულიად საკავშირო პირველი ურილობა გახსნა. გუშინ, 1922 წლის 30 დეკემბერს, ერთიობაზე დამტკიცდა ბელშეკრულუბა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

ვლადიმერ ილიას ძე დღეობას აშავდებდა ამ საოცარ დღეს.

უცებ როდ ვიკვი ვევადა, ჩაოღინი მწაშნელობა მქონდა სსრ კავშირის შექმნას; რატომ ეტარებოდა ამა ვლადიმერ ილიას ძეს ახე გატყუებით, ახე დღეობებით.

იმიტომ ეტარებოდა, რომ სსრ კავშირი ყოფილყო სრულიად ახალი, მეღვის რუსეთისაგან სრულიად განსაკვეთილი სახელმწიფო. მეღვის დროს ზომ ახე იყო: არსებობდა რუსეთი, უკრაინა, უკრაინისავე, აზერბაიჯანის, ყრს აქვეყნად ასევე — ბელარუსი, ზებრბაიჯანის, საქართველო, სომხეთი მხოლოდ რუსეთის წამოღებად თვებოდნენ. ხალხთა მილიანად მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას. არარს ბავშვებს თითქმის





არსად არ აძლევდნენ მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებას. ზოგიერთ ხალხს საკუთარი ანბანიც კი არ გააჩნდა. ერებს შორის საშინელი უთანასწორობა სუფევდა. ლენინს სძულდა ეს უთანასწორობა.

ჰოი, რა ღრმად ჩაფიქრდა ვლადიმერ ილიას ძე! ნადეუდა კონსტანტინეს ასული კართან გაჩერდა, ყური მიუგდო: სძინავს?

— არა სძინავს, ნადიუშა, სამუშაოდ ვემზადები.

ნადეუდა კონსტანტინეს ასული ფეხაქრფით შევიდა ოთახში. ღამის ღამაა ჩააქრო, დიდი ღამაა აანთო. ოთახი განათდა. ბალიშზე მისვენებულ გაფითრებულ სახეს შუქი დაეცა.

— დიდი მოუსვენარი ხარ, ჩემო კარგო! — უთხრა ვლადიმერ ილიას ძეს ნადეუდა კონსტანტინეს ასულმა.

სასადილო ოთახში კედლის საათმა ექვსჯერ დარეკა. იმავე წამს სტენოგრაფისტი მარია აკიშის ასული ვოლოდიჩევაც გამოჩნდა. ტანმორჩილი, ოცდაათი წლის ქალი იყო. ფანქრით ხელში, საწოლის გვერდით, პატარა მაგიდასთან დაჯდა.

— ამგვარად... — დაიწყო ვლადიმერ ილიას ძემ. დღეს ექიმებმა მას ორმოცი წუთი კარნახის ნება

დართეს. ორმოცი წუთი — რელიად ეყოფა — ვე დაწერილი აქვს სტატია. ურილობაზე რომ უოფილიყო, ვლადიმერ ილიას ძე იქაც ამას იტყოდა, რასაც ახლა უკარნახებდა. ეს იყო ამხანაგური დარიგება, — როგორ აშენონ და განამტკიცონ სსრ კავშირი. არაფრით არ უნდა დაიჩაგრონ მცირერიცხოვანი ხალხები. საბჭოთა რესპუბლიკები თანასწორუფლებიანი, ერთმანეთის შეგობრები უნდა იყვნენ. მაშინ სსრ კავშირი მძლავრი და სამართლიანი სახელმწიფო იქნება. მისი მაგალითით, მთელს მსოფლიოში გამოიღვიძებენ იმპერიალიზმის უღელქვეშ მგმინავი ხალხები...

ნადეუდა კონსტანტინეს ასული სამზარეულოდან უგდებდა ყურს ძვირფას ხმას. ერთმანეთში გადაწულ ხელებზე ნიკაიით დაყრდნობილი სახე შფოთვანარევი სიყვარულით უბრწყინავდა. მაგრამ აი, კარნახი დამთავრდა. სტენოგრაფისტი ვოლოდიჩევა წავიდა. იგი საწოლთან ნადეუდა კონსტანტინეს ასულმა შეცვალა. მის მზერაში ვერც წუბილი, ვერც შიში ვერ ამოიკითხა ვლადიმერ ილიას ძემ. ნადეუდა კონსტანტინეს ასულის სიმშვიდემ ვლადიმერ ილიას ძეც დაამშვიდა.

— იცი, ნადიუშა, რა გამახსენდა? — თქვა ჩაფიქრებულმა ვლადიმერ ილიას ძემ. — როგორ იბრძოდა მამაჩემი, რომ მარტორუსი ბავშვებისათვის კი არ გახსნილიყო სკოლები: სიმბირსკის გუბერნიაში, არამედ ჩუვაშელუბისთვისაც, მორდოველუბისთვისაც, თათრებისთვისაც. მამაჩემამდე ამაზე არავინ იწუხებდა

თავს.

— მამაშენი იშვიათი ადამიანი იყო, — მიუგო ნადეუდა კონსტანტინეს ასულმა, — მცირედით იწყებდა. სამაგიეროდ, რევოლუციამ ჩვენთან ახლა დიდი გზები გახსნა.

ნადეუდა კონსტანტინეს ასული ვლადიმერ ილიას ძეს ატყობდა, რომ დღევანდელი მუშაობით კმაყოფილი იყო. კომპრესი უკვე მოუხსნია, მაშასადამე, თავის ტივილი განელდება. შეიძლება მალე კიდევ წამოდგეს.

„შეიძლებაო? ეს რა გავიფიქრე? — შეშფოთდა ნადეუდა კონსტანტინეს ასული. — შეიძლება კი არა, აუცილებლად. ნახევარი წლის წინათაც ასე არ იყო? — ივადმყოფა და წამოდგა. ახლაც იგივე მოხდება.“

მან მზრუნველი ხელით გაუსწორა საბანი ვლადიმერ ილიას ძეს.

— ახლა ხომ ახალი წლის საღამოა, ვალოდია, — მოაგონდა ნადეუდა კონსტანტინეს ასულს. — ტყუილად როდი მოხვედი კარგ გუნებაზე.

დაიხარა და ეამბორა.

— გილოცავ ახალ წელს, ვალოდია! თარგმნა ს. ბეჩოელმა.

# აკიუკა

ნინო ნაპაშვილი

მხატვარი თ. ხუციშვილი

(ნამდვილი ამბავი)

მე მინდა გიამბოთ პატარა გოგონა არიშკას ამბავი. ცხოვრობდა იგი სოფელში, ჩვენს მეზობლად, ერთ ქალთან; ყველას გვეგონა, რომ ეს ქალი პატარა გოგონას დედა იყო. ვიცოდით, რომ ისინი რუსეთიდან იყვნენ გადმოსხვეწილნი ომიანობის გამო. მეზობელ ქალებსა და ბავშვებს ეზრლებოდათ მუდამ შეწუხებული ქალი და გოგონა, ყველანი თანაგრძნობით ეპყრობოდნენ და მიჰქონდათ მათთან სხვადასხვა ხილუელი.

გოგონა იქნებოდა შვიდი თუ რვა წლისა, ის არავის არ ეკარებოდა, სულ ჩუმად იყო, მხოლოდ ზოგჯერ გამოვიდოდა ხოლმე სოფლის შარაგზაზე, დაიწყებდა წინ და უკან სიარულს და ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდა. სიმღერის შემდეგ ატირდებოდა და შინისკენ გაიქცეოდა. ხმა სასიამოვნო ჰქონდა და, როგორც კი გაისმოდა მისი წკრიალა სიმღერა, ყველანი გამოვიდოდით და ყურს ვუგდებდით. გოგონა თმაშეკრეჭილი, ქერა და ლურჯთვალება იყო, ტანზე წითელი კაბა და ფეხებზე წითელი წაღები ეცვა.

სოფელში გაცხარებული მუშაობა იყო: ჭირნახულის, ბოსტნეულის აღება, რთველი...

ომის გამო გადმოსხვეწილი ხალხი მიეშურებოდა ჩვენი სოფლის გზაზე. მიდიოდნენ კახეთისაკენ ფურგონებით, მანქანებით.

ხალხი განრისხებული იყო ფაშისტების თავხედობით და ჩქარობდა სწრაფად და უდანაკარგოდ აელო ჭირნახული, რომ ამით თავისი წვლილი შეეტანა საერთო საქმეში. ახალგაზრდობა მიეშურებოდა წითელი არმიის რიგებში ჩასადგომად, რომ მედგრად დახვედროდა გათავხედებულ მტერს.

პატარა გოგონა მიუკარებელი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც თანდათან შეეჩვია ჩემს პატარა ბიჭიკოს და დღეში რამდენჯერმე მოდიოდა მასთან სათამაშოდ.

ერთ დღეს გოგონას დედა მოვიდა ჩემთან და მითხრა: — მეზობელო, მე მგონია, დამიჯერებთ, რასაც გეტყვი და დამეხმარებით.

— რასაკვირველია, დაგიჯერებთ და დაგეხმარებით, თუ შემეძლება.

— მე თბილისში მივდივარ და მინდა ბავშვი დაგიტოვოთ...

— ბავშვი დამიტოვოთ? მერე... დარჩება უთქვენოდ?


— ერთი კვირა გასძლებს... მე ყველა ჩემიანი დავკარგე გზაში... შვილი, მამა, დედა, ეს სხვისი ბავშვი შემრჩა... უკრაინიდან მოვდივართ მატარებლით. ფაშისტებმა არ დაინდეს ბავშვებითა და ქალებით სავსე მატარებელი, ყუმბარები დაუშინეს და ნაფოტებად აქციეს, ხალხი გაჟლიტეს, ბავშვები... ოჰ, აღარ შემძლია მოგონება. — ქალი დადუმდა, აკანკალდა, მაგრამ თავი შეიკავა და განაგრძო თვალცრემლიანმა, — ისეთი ჯოჯოხეთი დატრიალდა... წვილ-კივილი, კვნესა და ტირილი ისმოდა ყოველი მხრიდან, ფაშისტების თვითმფრინავები კი დაფრინავდნენ და აწვიმებდნენ ცეცხლსა და სიკვდილს... მერე აღარ მახსოვს რა მომივიდა, როგორ დავკარგე გონება. როდესაც გამოვერკვიე, მეორე მატარებე-

ლი მოაყენეს და ვინც გადავჩით, ჩავსხედით. სანამ ჩავხედებოდით, დიდხანს ვეძებე ჩემი ბავშვი, ჩემი პატარა სამი წლის გოგონა, მოხუცი მამა და დედა, ვეძახდი, ვყვიროდი, მაგრამ ვერც ერთი ვერ ვიპოვე, ვერც მკვდრებში, ვერც ცოცხლებში. ამბობდნენ, ერთი მატარებელი უკვე წავიდა წინ და იქნებ იმას გაპყვნებო. მე წამოვედი იმ მატარებლით და სწორედ ის იყო დავიძარი, რომ ვილაცამ ჩვენს ვაგონში ეს პატარა გოგონა შემოაგდო ატირებული. შემეცოდა, მოვეფერე და მას შემდეგ ჩემთან არის.

ქალი ცოტახანს გაჩუმდა და ისევ განაგრძო: — ახლა ამბობენ, შეიძლება თბილისში გაიგო რაიმე გადმოსხვეწილთა შესახებო. ამას გარდა, ქმარიც ფრონტზე მყავს და ვფიქრობ შტაბში შევიტყობ მის ამბავს. მე მგონია რამდენიმე დღეს მომიხდება თბილისში დარჩენა, მერე კი...

სწორედ ამ დროს ჩემი ბიჭიკო და ის გოგონა ქუჩაში იდგნენ და მღეროდნენ.

ქალმა გაიხედა იმათკენ და გაიღმა:



— იცით, რატომ მღერის?  
— არა.  
— ჰმ, ჰგონია პაპა ეძებს მას, სიმღერის ხმას გაიგონებს და მიპოვისო.  
— როგორ, პაპა ჰყავს?  
— ამბობს, მყავსო, მაგრამ ეტყობა ისიც დაიღუპა. —  
ქალი გაჩუმდა, ამოიოხრა. ცოტა სიჩუმის შემდეგ უცებ წა-  
მოდგა, თვალები აენთო და აღელვებულმა მკაცრად წარ-  
მოთქვა: — არა, ეს არ შერჩებათ ფაშისტებს, ხალხის რის-  
ხვა თავს დაატყდებათ, ხალხიც არ შეარჩენს იმათ ამდენ  
სიბოროტეს... სწრაფად გასწორდა წელში, ხელი გამომი-  
წოდა და მითხრა: — გმადლობთ, მეზობელო.



ბავშვებმა გაათავეს სიმღერა და მოვიდნენ.  
— არიშკა, — მიუბრუნდა ქალი გოგონას, — შენ ამ  
დეიდასთან დარჩები რამდენიმე დღეს, კარგი?  
გოგონა გაეხვია ქალის კალთაში და აცრემლებული თვა-  
ლები მიაპყრო მას:  
— შენც მიდიხარ პაპასავით?  
— სამაგიეროდ აქ ბიჭიკო რჩება.

— ბიჭიკო რჩება?  
— იქნება პაპას ამბავი გავიგო თბილისში.  
— კარგი, — უთხრა გოგონამ და ისევ ამოუდგა ბიჭი-  
კოს გვერდში.

ამრიგად, ჩვენთან დარჩა პატარა, წითელკაბიანი და  
წითელწაღებიანი გოგონა, არიშკა.  
ყოველ დილას, ჩაის შემდეგ სამივენი: არიშკა, ბიჭიკო  
და მე მივდიოდით ბაზარში სანოვავის საყიდლად. გზაში  
არაფერი ახალისებდა გოგონას და ხშირად წამოიძახებდ  
ხოლმე: „პაპა, პაპა მინდა, პაპა!“  
ერთხელ, ბაზრის ახლოს, მოედანზე დაბანაკებული  
ლტოლვილი რუსები შევნიშნეთ, ფურგონებსა და საზიდ-  
რებზე ჩამომსხდარი, დაქანცული ქალები და მოხუცები უხა-  
ლისოდ ღვჭდნენ პურს. მზიანი დღე იყო, იქვე — შორიას-  
ლოს თეთრ ქვებსა და ლოდებზე მიჩქრიალებდა დიდი მდი-  
ნარე. ეს მხიარული ამინდი და ამნაირად შეწუხებული ხალ-  
ხი არ ეგუებოდნენ ერთმანეთს, გული გვიკვნესოდა იმათ  
შემყურე. ზათ გვიამბეს თავიანთი გადმოხვეწის ამბავი, რო-  
გორ გამოექცნენ როსტოვიდან ჰიტლერელთა ყუმბარებს,  
სიკვდილსა და განადგურებას. როგორ მოდიოდნენ მთელი  
თვის განმავლობაში თრჯონიკიძედან თერგის ხეობაში და რა  
გაჭირვება გამოიარეს.

არიშკა დიდი ყურადღებით უსმენდა იმათ ლაპარაკს და  
უცებ ჰკითხა ერთ ქალს:

— ჩემი პაპა არ გინახავთ გზაში, გრძელი თეთრი წვერი  
აქვს, სიმღერა იცის და უკრავს?

— არა, არ გვინახავს, — უთხრა ქალმა...  
ბაზარში არიშკას საზამთროსაკენ გაექცა თვალი.

— უჰ, ჩვენში ისეთი დიდი საზამთროები იცის. პაპა  
მომცემდა სამ მანეთს, წადი, იყიდო და მეც ვიყიდდი ისეთ  
დიდს, ისეთ ტკბილს, აჰ, პაპა, ჩემო პაპა! — ამოიოხრა და  
პატარა, ჭორფლიანი სახე საცოდავად დაემანჭა.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ აღელვებულმა ბი-  
ჭიკომ შემოირბინა და მითხრა: არიშკა ტირის და ვერ გაუ-  
ჩუმეო. რატომ ტირის-მეთქი, ვკითხე — იმიტომ, რომ ვიღაც  
გრძელწვერა მოხუცი დაინახა, პაპა ეგონა, გამოვევიდეთ  
სიმღერით, მაგრამ არ მოიხედა. დავეწვიეთ, პაპა არ აღ-  
მოჩნდა. იმიტომ ტირის და ვერ დავამშვიდეთ.

მართლაც, დიდხანს ვერ დავამშვიდეთ გოგონა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, არიშკას დედობილისა-  
გან წერილი მივიღეთ: „მივდივარ ორჯონიკიძეში, გავიგე  
რომ ჩემი ქმარი იქ წოლილა ჰოსპიტალში მძიმედ დაჭრი-  
ლიო“.

ერთხელ სადილად ვისხედით, უცებ არიშკამ ყურები ცქვი-  
ტა, პირთან მიტანილი წვნიანი კოვზი ხელიდან გაუვარდა,  
წამოხტა და გარეთ გაუარდა. ბიჭიკოც, წარმოხტა და გამო-  
უდგა. მეც წამოვდექი გაოცებული.

შარაგზიდან მოისმოდა სწორედ ის სიმღერა, რომელსაც  
არიშკა მღეროდა. სასწრაფოდ გამოვედი ტიშკარში და და-  
ვინახე, რომ ქუჩაში გრძელწვერა მოხუცს გულში ჩაეკრა  
არიშკა და ორივენი ტიროდნენ. ოდნავ მოშორებით იდგა ბი-  
ჭიკო და ისიც ტიროდა.

— ოჰ, არიშკა, ჩემო საყვარელო, ჩემო პატარავ, როგორ  
გიპოვე, — აღელვებული ამბობდა მოხუცი და ჰკოცნიდა  
გოგონას.

ნაც კრემლი მომერია, გამვლელ-გამომვლელი ხალხიც  
წერდებოდა. ზოგი კრემლს იწმენდა, თავს აქნედა და  
წყველა-მუქარას უგზავნიდა პიტლერს, რომელმაც ამდენი  
უბედურება დაატრიალა და ამ დღეში ჩააგდო ბავშვები.

მოხუცი იმ ღამეს ჩვენთან დარჩა. არიშკა ერთი წუთითაც  
არ შორდებოდა, ეკვროდა და ეალერსებოდა. სულ გამოიც-  
ვალა გოგონა, თვალები გაუბრწყინდა, გამოცოცხლდა, ატიკ-  
ტიკდა.

— პაპა, რატომ დამტოვე იქ? — შეეკითხა არიშკა.

— მე დაგტოვე? აბა, მე როგორ დაგტოვებდი, ჩემო სი-  
ხარულო. ჩვენს მატარებელს რომ ყუზმარები დაუშინეს, კი  
მასხოვს, მაგრამ მერე როგორ გავჩნდი საავადმყოფოში, ეს  
აღარ მახსოვს. ფეხი მტკიოდა, ვერ დავდიოდი. როდესაც  
ავდექი, მას შემდეგ სულ შენ გეძებ. ერთი დიდი სადგურის  
კედელზე წავიკითხე, რომ პატარა წითელკაბიანი და წი-  
თელწაღებიანი არიშკა ორჯონიკიძეში წავიყვანეო, —  
სწერდა ერთი ქალი. ასეთი განცხადებებით სავსე იყო მთელი  
იმ სადგურის კედლები. ერთგან ეწერა: პატარა პეტრე პეტ-  
როვი სვერდლოვში მიმყავსო; მე დიმიტრი ტიტენკო, 14  
წლის, თბილისში მივდივარო და სხვა მრავალი. მეც წამო-  
ვედი ორჯონიკიძეში. იქ გეძებე დიდხანს, მერე მითხრეს,  
აქედან ბევრი თბილისისაკენ წავიდაო. მეც წამოვედი. მოვ-  
დიოდი მთებში, ბილიკებზე, ვმღეროდი და ვუკრავდი ჩემს  
სტვირს, ვეჭებრთელა თოვლიან-ყინულიანი მთები თითქოს  
ბანს მადლევდნენ, ჩემი სიმღერა შენ გეძახდა. ვფიქრობდი:  
არიშკა, ჩემი გოგონა გაიგონებს და საიდანმე გამოხტება-  
მეთქი.

- აკი, გამოვხტი პაპა.
- თბილისში რამდენი გეძებე!
- ჩვენ კი აქ წამოვედით.
- მერე აქ როგორ მოგვაგენი? — ვკითხე მე.

— მითხრეს გადმოხვეწილი ხალხის უმეტესობა კახე-  
თისაკენ გაისტუმრეს კოლმეურნეობებშიო. მეც დავადექი გზას  
და წამოვედი. გზა და გზა ვმღეროდი, მთელი სოფლები შე-  
მოვიარე. ბედი შეწვია, ვიპოვე ჩემი გოგონა. ხვალ დილით  
ჩვენც წავალთ წითელწყაროს კოლმეურნეობაში. ვიმუშა-  
ვებთ, ჯერ კიდევ შემწევს ძალ-ღონე, ჩემს კოლმეურნეობაში  
დამკვრელი ვიყავი. სტვირსაც ვუკრავ, უქმი დღეებში ხალხს  
მოვალხენ.

მეორე დღეს არიშკა და მისი პაპა დილაადრიანად წა-  
ვიდნენ.

შემოდგომის ბოლოს ჩვენც თბილისში ჩამოვედით.

თებერვლის მიწურული იყო, ვიღაცამ კარებზე დაგვიკა-  
კუნა, გავალე და ვისა ვხედავ. არიშკა და მისი პაპა!

— გამოსამშვიდობებლად მოვედით, — მითხრა მოხუც-  
მა. — არიშკას ბიჭიკოს ნახვა უნდა. მივდივართ ჩვენს ქვე-  
ყანაში. ჯერ ყუბანში ჩავალთ, თანამგზავრები გვყავს, იქი-  
დან კი უკრაინაში წავალთ. მანამდე იქიდანაც გარეკავენ  
მტერს, დარწმუნებული ვარ.

არიშკა და ბიჭიკო კუთხეში მისხდნენ და სიცილ-კისკისი  
დაიწყეს.

მოხუცმა ჩაი დალია, ჭიქა გადააბრუნა იმის ნიშნად, რომ  
მეტი აღარ უნდოდა და მითხრა:

— ახლა თუ გნებავთ, გამოსამშვიდობებლად ჩემს  
სტვირს დაუუკრავ.

— ოო, გთხოვთ!  
მან ამოიღო ილიაში საკრავი და დაამღერა უკრაინული  
სიმღერები.

დიდხანს უკრავდა მოხუცი. მეზობლებმა თავი მოიყარეს  
ჩვენთან და სიამოვნებით უგდებდნენ ყურს.

— ნამდვილი ჩვენბური სტვირია ეს „ვოლინკა“, მხო-  
ლოდ ერთის მაგიერ სამი მილი აქვს.

— რა კარგი რამ არის!

— რა საუცხოოდ უკრავს, — ისმოდა აქეთ-იქიდან.  
მოხუცმა გაათავა დაკვრა და შეჩერდა:

— ახლა ჩემი გოგონას სიმღერას დაუუკრავ, რომელმაც  
ის მაპოვნინა. ეს სიმღერა ჩემი არიშკასათვის გამოვიგონე.

დაუკრა და ამ სიმღერით მთელი თავისი სიყვარული და  
სიხარული გამოთქვა, რომ პატარა გოგონა, არიშკა გაჩნდა  
ამ ქვეყანაზე, რომ ის იზრდება და იმედად ჰყავს.

მოხუცმა დაჩუტა სტვირის. გუდა, დაკეცა და უბეში  
ჩაიღო.

მეზობლები დაფაცურდნენ, სანამ მოხუცი ქურქს ჩაიც-  
ვამდა, საჩუქრები შემოუტანეს: ჩირი, ჩურჩხლები, ნაზუქი,  
ვაშლი, პური. პატარა მანანამ არ დაიშურა და თავისი დე-  
ლოფალა მოუტანა არიშკას.

— ეს გზაში გამოგადგებათ, — ეუბნებოდნენ მეზობ-  
ლები მოხუცს და უწყობდნენ საჩუქრებს დიდ სამგზავრო  
ჩანთაში.

— დარჩი ჩვენთან, არიშკა, — უთხრა არიშკას ბიჭიკომ.

— არა, ბიჭიკო, მე და პაპა უნდა წავიდეთ, ფაშისტები  
უნდა გავრეკოთ უკრაინიდან, — თქვა გოგონამ და მიეკრა პა-  
პას, — მერე, მე რომ გავიზრდები, პაპას ხომ უნდა მოვუარო?!  
ყველას გაეცინა.

— მართალს ამბობ, ჩემო გოგონა, მართალს, უნდა გავ-  
რეკოთ ფაშისტები და გავრეკავთ კიდევ. — დასძინა პაპამ.  
გამომშვიდობებისას არიშკამ მე და ბიჭიკოს მადლობა გა-  
დაგვიხადა, გვაკოცა და გვითხრა: — ჩემი დედობილის ამ-  
ბავი მომწერეთ, რომ ჩამოვაო.

კარგი, უსათუოდ მოგწერთ, — დავაიმედე მე.



მოსკოვი



შემოქმედება



კოკროვის ტაძარი მოსკოვში.  
ვიტალი ანდრეევოი. 10 წლის. ქ.  
ელექტროსტალი.



ილია.  
ირა  
შეცოვა.  
10 წლის.  
ქ. ლენინგრადი.



ორკანტრი.  
რამ  
საიმო.  
12 წლის.  
კარელია.


ზამთარი ტყეში. ვლადიმერ ბაიგოვი  
18 წლის ქ. ლენინგრადი.



14811







ანგ-ი, ან-ი სკოლების პიონერებმა და კომკავშირელებმა ჩვენი ქვეყნის უველა პიონერსა და მოსწავლეს.

მათაც არ დაუოვნეს და საკავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ ანგარიშზე (№ 70008) მალე დაიწყო პიონერთა შრომითი დანაშოგების ჩარიცხვა.

